სომალის მთავრობამ განაბორციელა ეფექტიანი ღონისძიებანი და შექმნა რვა ბანაკი დაზარალებული რაიონების ლტოლვილთათვის, აქ დაბანაკდა 160 ათასზე მეტი კაცი. ახლა ხელისუფლებამ საბჭოთა თვითმფრინაველების დახმარებით დაიწყო მომთაბარეთა გადაყვანა ამ ბანაკებიდან, რომლებიც მზით გადაბუგულ უდაბნოშია განლაგებული, მოუმზავო დასახლების რაიონებში — ქვეყნის სამხრეთით, მდინარე ჯუბის გაყოლებით.

გფრ შეხვედრა ბონში

ბონი, (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ჰ. შმიდტმა მიიღო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ვ. ბრანდტი. როგორც მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, საუბარში, რომელიც მიეძღვნა ვ. ბრანდტის ვიზიტს საბჭოთა კავშირში, მონაწილეობდა აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი გ.-დ. გენშერი.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲜᲘ

აპარატი გრმეგისათვის

როგორც პოლონური პრესა იუწყება, ვარშავის ოპტიკური ქარხნის სპეციალისტთა ჯგუფი შეუდგა ისეთი აპარატის შექმნას, რომლითაც ბრმებს შეეძლებათ ცალკეული ფიგურებისა თუ ადამიანების „დანახვა“. ამჟამად უკვე შექმნილია ზისი პირველი მოდელი. მეცნიერებმა მას საფუძვლად დაუდეს ოპტიკური სახის წარმომქმნელი სინათლის ტალღების ენერგიის გარდაქმნა მექანიკურ გამღიზიანებლად. ასეთი აპარატით ბრმას შეუძლია, მაგალითად, დანახოს ადამიანის ფიგურა და მისი მოძრაობა. აპარატურის სრულყოფაზე მუშაობა გრძელდება.

ფირი ბატარიის ნაცვლად

ამერიკის ერთ-ერთმა ფირმამ შეიმუშავა შენობების გათბობის „ფიროვანი“ სისტემა. ამ სისტემის მთავარი ელემენტია თხელი ფურცელი, რომელიც განსაკუთრებული პოლიეთილენული ფირის ორი ფენისაგან შედგება. მათ შორის მოთავსებულია შინაგანი ელექტროგამტარი ფენა. სხვადასხვა სითბო, რომელსაც ფირი გამოყოფს, უშუალოდ შთაინთქმება შენობაში არსებული სხვადასხვა საგნებისა მიერ, მაშინ როცა ჩვეულებრივი გათბობის სისტემის დროს საგნები თბება შენობაში არსებულ გამთბარ ჰაერთან კონტაქტის მეშვეობით. გათბობის „ფიროვანი“ სისტემა სითბოდ გარდაქმნის მასში ჩამავალ მთელ ელექტროენერგიას და ამავე დროს შენობის ჯასათბობად სჭირდება მისი ბევრად ნაკლები რაოდენობა. ამას იუწყება გაშინგტონის „საიენს ნიუსი“ (აშშ).



ჩვენი ხომალდი „სოიუზი“



ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე დღე დარჩა ღირსშესანიშნავ კოსმოსურ ექსპერიმენტამდე „სოიუზ-აპოლონის“ პროგრამით. ახლა „სოიუზის“ ეკიპაჟი ბაიკონურის კოსმოდრომზეა, სადაც მონაწილეობს მომავალი სტარტისათვის კოსმოსური ხომალდის მომზადებაში. ხოლო ა. ლეონოვისა და ვ. კუბასოვის გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე საკდესის სპეციალური კორესპონდენტი გაეცნო მაკეტ-ტრენაჟერს და ესაუბრა კოსმონავტებს მათი ხომალდის შესახებ.

ი. ა. გაგარინის სახელობის კოსმონავტთა მომზადების ცენტრში დამთავრდა „სოიუზის“ პირველი ეკიპაჟის მორიგი წვრთნა. ა. ლეონოვი და ვ. კუბასოვი მსუბუქ ღია ფერის კომბინეზონებში არიან გამოწყობილი. მათ სახეებს კიდევ ატყვია დაღლილობის კვალი. სამი საათის დაძაბული მუშაობა, იოლი საქმე როდია!

დღის ბოლოს, როცა ეკიპაჟის წვრთნა დამთავრდა, შევდივართ „სასწავლო ლაბში“.

მეთოდისტ-ინჟინერ პეტრე ბოკოვთან ერთად ლუკის „შეეედით“ „სოიუზის“ დასაშვებ აპარატში და ჩავსხედით კოსმონავტთა მოხერხებულ სავარძლებში, რომელთა სახელურებში მოწყობილია ხომალდის მოძრაობის მართვის სისტემა. ორი სათვალთვალო ილუმინატორიდან შემოსული რბილი სინათლე ანათებს დეკორაციული პანელით მოპირკეთებულ კაბინას.

— ხომალდი „სოიუზი“ შედგება სამი ნაკვეთურისაგან, — თქვა ინჟინერმა, — ერთია დასაშვები, რომელშიც ჩვენ ვსხედვართ, მეორე ორბიტული, რომელიც ჩვენს ზემოთაა, და მესამე — ხელსაწყო — აგრეგატებისა — ჩვენს ქვემოთ. მომავალი ექსპერიმენტების მოთხოვნათა შესაბამისად ხომალდის ზოგიერთი სისტემა მოდერნიზებულია და გამოცდილია „სოიუზ-16“-ით ფრენის დროს. ხომალდის კაბინაში — ძირითად სამუშაო ადგილას ეკიპაჟი სტარტს იღებს კოსმოსში, კაბინიდან მართავს ფრენას და კაბინითვე ეშვება დედამიწაზე, ამასთან დედამიწაზე დაშვების დროს იშორებს ორ ნაკვეთურს. „სოიუზის“ ყველა სათავსის მოცულობა ათ კუბურ მეტრს აღემატება.

ჩვენს წინაშეა ხომალდის სამართავი პულტი, თქვა შემდეგ ჰ. ბოკოვმა. საკომანდო-სასიგნალო მოწყობილობის საშუალებით ეკიპაჟის მეთაური ფრენის დროს ყველა საჭირო კომანდას იძლევა. აი სანავიგაციო კოსმოსური ინდიკატორი. მისი მაჩვენებლების მისაედვით ნებისმიერ დროს შეგვიძლია განვსაზღვროთ ტრასაზე ხომალდის „დგილმდებარეობა, ფრენის სიმაღლე, დედამიწის მორიგი გარშემოვლის ნომერი. ხომალდი დამატებით აღჭურვილია თავსებადი რადიოსადგურებისა და შეპირაპირებისათვის საჭირო გარე სასიგნალო შუქის სამართავი პულტით. ეს განათებული ტრანსპარანტები კი ხომალდის ცალკეულ სისტემათა მუშაობის „დანახვის“ საშუალებას იძლევა. ეკიპაჟს შეუძლია ყოველი მათგანი გამოიძახოს „შესამოწმებლად“. კომანდების შესრულების ლოგიკის დარღვევების შემთხვევაში კოსმონავტები შესაბამის შესწორებებს შეიტანენ.

ინჟინერი ჰ. ბოკოვი აცხადებს, რომ კაბინაში დაცულია დედამიწასთან დაახლოებული ჰაერის გარემო, ატმოსფერული წნევა, ტენიანობა და ტემპერატურა. ორბიტაზე კოსმონავტები იხდიან სკაფანდრებს და მუშაობენ ტანსაცმლის ამარა მუშაობენ. ინჟინერ ილია ლავროვის ხელმძღვანელობით მოდერნიზებული სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემათა პოტენციური შესაძლებლობანი, ხომალდში საჭმელისა და წყლის მარაგი საკმაოდ დიდია. გაჰსხოვ: პილოტირებული „სოიუზ-9“ დედამიწის ირგვლივ სივრცეში თითქმის სამ კვირას „ცხოვრობდა“.

ვტოვებთ კოსმონავტთა საუარძლებს და სხვადასხვა წერტილში დამაგრებული სახელურების დახმარებით, ლუკით ავდიავართ ორბიტულ ნაკვეთურში. ნაამბობიდან ვტყობილობ, რომ მის ტორსზე მოთავსებულია შეპირაპირების პრინციპულად ახალი ადრეგინული აგრეგატი, რომელიც ინჟინერ ვლადიმერ სიროშტანნიკოვის ხელმძღვანელობით შეიქმნა. ნაკვეთურზე გარედან დამაგრებულია სამიზნეები, რომლებიც ხელს უწყობენ ხელით მართვის რეჟიმში ხომალდების მიახლოებასა და შეპირაპირებას. ამ ნაკვეთურს „ლაბორატორიასაც“ უწოდებენ და „სახლსაც“. იქ დგას სამეცნიერო აპარატურა, ხელსაწყოები, — ყველაფერი, რაც ა. ლეონოვსა და ვ. კუბასოვს დასჭირდებათ სხვადასხვა ცდისათვის. ორი სათვალთვალო ილუმინატორიდან შეგიძლიათ გადაიხედოთ, გადაიღოთ ფოტოსურათი, აწარმოოთ დედამიწისა და კოსმოსის კინოგადაღება. არის კიდევ ერთი გვერდითი ლუკი სასტარტო მოედანზე ხომალდში ეკიპაჟის ჩასასხდომად.

მოძრავი სატელევიზიო კამერის გამოყენებით კოსმონავტები ხომალდიდან რამდენიმე ტელერეპორტაჟს გადმოსცემენ.

ვეენონი ნაკვათურის საყოფაცხოვრებო ნაწილს, რომელშიც დგას დასასვენებელი „დივანი“, „სერვანტი“, მისი გადაბსნილი სახურავი მაგიდის ფუნქციას ასრულებს, საჭმლის გასაცხელებელი ელექტროქურა. ამ ნაკვეთურში გაიმართება პირველი კოსმოსური საერთაშორისო „დარბაზობა“.

ხელსაწყო-აგრეგატის ნაკვეთური რამდენიმე სექციად იყოფა. მათში თავმოყრილია საბორტო აპარატურა — თერმორეგულირების, ელექტროკვების სისტემის აგრეგატები. ხომალდის „ელექტროსადგურის“ მიმდები ელემენტებია მზის ბატარეები, რომლებიც 20 კვადრატულ მეტრამდე ფართობის პანელებზეა დამონტაჟებული. მათზე თავის მხრივ განლაგებულია რადიოკავშირის ანტენები და საორიენტაციო ფერადი ხაბორტო შუქი. ფრენის დროს ხომალდი წაადგავს ფრთებგაშლილ „ვიგანტურ ფრინველს“. ამ ნაკვეთურში მოთავსებულია აგრეთვე რადიოკავშირის, ტელემეტრიის აპარატები, მოძრაობის ორიენტაციისა და მართვის სისტემის ხელსაწყოები საანგარიშო-გამზომათვლელი მოწყობილობით, აგრეთვე აპარატურის საბორტო კომპლექსის სამართავი და ხომალდის მოწყობილობის სისტემები.

— სად არის განლაგებული მანევრირებისა და დედამიწაზე დაშვების ძრავები?

— ნაკვეთურის ბოლო ნაწილში. თხევად საწვავიანი ძრავის დანადგარი შედგება ორი აგრეგატისაგან, რომელთაგან თვითეულის წევის ძალა — 400 კილოგრამს აღემატება. არის ოცზე მეტი ძრავა ათიდან ერთ კილოგრამამდე წევის ძალისა. ყველა ეს ძრავა ა. ლეონოვსა და ვ. კუბასოვს დასჭირდებათ 225 კილომეტრის სიმაღლის ეგრეთწოდებული სამონატაჟო ორბიტის შექმნისა და „აპოლონის“ „სოიუზთან“ შეპირაპირების დროს მანევრირებისათვის.

ვიდევ ერთი შეხვედრა ალექსი ლეონოვთან და ვალერი კუბასოვთან. ეკიპაჟს ვთხოვე ეპასუხა კითხვაზე, რით განსხვავდება ხომალდი, რომლითაც ისინი გაფრინდებიან, ტიპობრივი „სოიუზისაგან“.

— პრინციპული სქემით წინამორბედებისაგან ჩვენი „სოიუზი“ არ განსხვავდება, — თქვა ა. ლეონოვმა. — ეს არის სერიული მრავალმიზნობრივი ხომალდი. ამგვარი ტიპის საფრენ აპარატზე მუშაობდა და ასორციელებდა სხვადასხვა პროგრამას მკვლევართა ჩვიდმეტი ეკიპაჟი. მაგრამ, რა თქმა უნდა, განსხვავებაც არის. მთავარია უნიფიცირებული ანდროგინული შეპირაპირების აგრეგატი, რომელიც საბჭოთა კავშირ-ამერიკის ექსპერიმენტალური ფრენის მზადების პროცესში შეიქმნა. უიმისოდ შეუძლებელია სხვადასხვა სისტემის ხომალდების შეერთება ერთიან კომპლექსად, და მაშასადამე, პროგრამის ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანის შესრულება — უბედურებაში ჩავარდნილი ხომალდისა თუ ეკიპაჟის წყვარებისათვის დახმარების გაწევის შესაძლებლობათა განსაზღვრა. ამასთან დაკავშირებით ახალია ჩვენს ხომალდზე მოდერნიზებული სისტემები, რომლებიც ცვლიან ბაერის გარემოს, პარამეტრებსა და ატმოსფეროს წნევას კოსმონავტთა ჯანმრთელობისათვის საჭირო დონემდე. „აპოლონზე“ ეხინინ მუშაობენ წმინდა ჟანგბადის პირობებში, უფრო დაბალი ბარომეტრული წნევის პირობებში.

— „სოიუზისა“ და „აპოლონის“ ერთიან კომპლექსად შეერთება — თქვა შემდეგ ვ. კუბასოვმა, — ბუნებრივია, წარმოუდგენელია ადრეგინული შეპირაპირებე ლი კვანძის გარეშე. მაგრამ ისიც უსარგებლო გამოდგება, თუ ხომალდს არ აღჭურვავთ ძიების, დაახლოების, კავშირგაბმულობისა და მართვის თავსებადი სისტემებითა და საშუალებებით. ამ თვალსაზრისით ბევრი რამ გააკეთეს სპეციალისტთა ჯგუფ ე ბ მ ა, რომელებსაც ვიქტორ ლეკოსტაევი და ბორის ნიკიტინი მეთაურობენ. ჩვენი „სოიუზი“ ამ სისტემებითაც განსხვავდება წინამორბედებისაგან. ვფიქრობ მსოფლიო კოსმონავტიკის განვითარების კვალობაზე ხომალდების ელემენტები, რომელ ქვეყანასაც უნდა ეკუთვნოდნენ ისინი, ბევრად უნიფიცირებული და სტანდარტიზებული იქნება. ნათქვამს დავძენ: კოსმოსური ხომალდის „სახეს“ ყოველთვის განსაზღვრავს ფრენის პროგრამა, კერძოდ, მისი მეცნიერული ნაწილი. ბუნებრივია, ეს საჭირო „ინსტრუმენტსაც“ მოითხოვს.

— მე და ვალერი, — თქვა ბოლოს ა. ლეონოვმა, — სავსებით მივემზადით გათვალისწინებული პროგრამის შესასრულებლად. დიდ მადლობას ვუძღვნით ჩვენს მეთოდისტებს, ყველა სპეციალისტს, ვინც ძალ-ღონის დაუზოგავად გვამზადებდა ფრენისათვის.

ა. რომანოვი.

ვარსკვლავეთა ქალაქი-მოსკოვი.

• • •

სურათებზე: ბაიკონური. მარცხნივ — კოსმონავტები ა. ლეონოვი და ვ. კუბასოვი მატარებელ-რაკეტასთან ხამონტაჟო-საგამოცდო კორპუსში; მარჯვნივ — ხამონტაჟო-საგამოცდო კორპუსში მიმდინარეობს კოსმოსური ხომალდ „სოიუზის“ მონტაჟი.

ხაკდესი-ხაკინფორმი.



„ივერია“ მოსკოვში

გაიხსნა ქართული რესტორანი

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის საიუბილეო დღეებში გადაწყდა დედაქალაქის დიდი რაკლის შემოგარენზე, რომელიც მშვენე დასვენების ზოლად ირტყია მოსკოვს, გაშენებულიყო 15 მომძე რესპუბლიკის რესტორნები. და აი „ცენტროსოიუზის“ საკავშირო საპროექტო ინსტიტუტის თბილისის ფილიალმა შეადგინა შენობის პროექტი, რომლის ავტორია საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი ლ. მუშკუდიანი.

რესტორანი „ივერია“ გაშენდა მინსკის გზატკეცილის 45-ე კილომეტრზე გოლიცინოში.

რესტორან „ივერიაში“ პროექტით გათვალისწინებულია ძირითადი დარბაზი 110-120 ადგილით, ვესტიბიულით, გარდერობით და სხვა დამხმარე სათავსოებით. ვესტიბიულში იქნება ბუფეტი, ბუნების ეროსკეკ, სადაც სტუმრებს შეეძლებათ შეიძინონ ჩვენი რესპუბლიკის ხელოვნთა ნაწარმი. შენობის მარჯვენა მხარეს მოთავსებული ქართული მარანი 50-60 კაცისათვის. მარნის არქიტექტურაში გამოყენებულია ქართული ხეროთმოძღვრების მდიდარი ტრადიციები, მთლიანად დაცულია ეროვნული კოლორიტი, უხვად არის გამოყენებული ქართული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები, კერამიკა, ქვაზე კვეთილობა, მოზაიკა და სხვ.

ამავე შენობაში გათვალისწინებულია ექსპრეს-დარბაზი, რომელიც მგზავრებს მოემსახურება. აქვეა დიდი საბანკეტო დარბაზები, სადაც შეიძლება ქორწილის, მეგობრული და ოფიციალური შეხვედრების მოწყობა.

ლამაზია „ივერიის“ შიდა ეზო, რომელიც ორგანულად არის შეწყვეტილ შენობასთან. აქვეა ჩანჩქერი-შადრევანი. შენობა გზატკეცილიდან დაშორებულია 30 მეტრით, „ფიფლულია ნაძვნარში.

„ივერიის“ მარცხენა მხარეს ქართული კაფე-ბარია მოთავსებული.

მომავალში გოლიცინო გადაქცევა მშრომელთა დასვენებისა და ტურიზმის კერად. ეს იქნება მოსკოვის ოლქის დიდი რაიონული ცენტრი, სადაც თავს მოიყრის ბევრი ტურისტული გზა და მარშრუტი ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან...

რესტორან „ივერიის“ მოსაპირკეთებლად გამოყენებულია ფაიანსის ქვა (თეთრი წყაროს რაიონი), ქართული მარმარილო და კრამიტი.

მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ქართველ მხატვართა ჯგუფს (ხელმძღვანელი ქ. წერეთელი). მშენებლობას აწარმოებდა ტრესტ „საკოოპმშენის“ მოსკოვის სამშენებლო უბანი (ტრესტის მმართველი გ. კირტავა, უბნის უფროსი გ. შეიდაძე, სამუშაოთა მწარმოებელი ა. ბურდნიკოვი).

ძირითადი სამშენებლო მასალა თბილისიდან არის ჩამოტანილი. ტრესტ „კოოპმშენთან“ არსებული რკინაბეტონის ქარხანაში (დირექტორი გ. მახარაშვილი) ღამზადებულია ხის ნაწარმი, რომლითაც მთლიანად მოპირკეთებულია რესტორანი. მშენებლობაზე ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა კუთხიდან იყვნენ მიველინებული მშენებელთა ბრიგადები, რომლებმაც ღირსეულად გაართვეს თავი ნაკისრ ვალდებულებას და ვადაზე ადრე შეასრულეს ობიექტის მშენებლობა.

„ივერია“ დიდი გემოვნებით გაფორმა „საკოოპრეკლამამ“ (მმართველი შ. ბათიაშვილი, მთავარი ინჟინერი დ. დგებუაძე, მოსკოვში წარმომადგენელი რ. უუფარაძე).

დ. მაჭავარიანი,

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

• • •

სურათებზე: ზემოთ — „ივერიის“ საერთო ხედი; ქვემოთ — დიდი სასადილო დარბაზი.

ო. გვალიას ფოტო.



სპარტაკიადის ალაგი ველოდრომზე

დიდი სტარტის პირველი დღე

გუშინ მწყობრში ჩადგა კიდევ ერთი დიდებული სპორტული ბაზა — თბილისის ველოდრომი. იგი თბილისელებმა საჩუქრად მოუმზადეს სპარტაკიადის მონაწილეებს.

ტურნირის მთავარმა მსაჯმა ა. კუპრინანშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა:

თბილისის ტურნირის შედეგებს ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. ყოველი კოლექტივი წარმოდგენილია 12 ველომრბოლით, ასეთი გუნდი კი თექვსმეტია. ჩვენ ოპტიმისტურად ვართ განწყობილი, მოველით მაღალ შედეგებს.

ლამაზად იყო მორთული ველოდრომის შენობა, მისი შემოგარენი. ფრიალებდა მომძე რესპუბლიკათა სახელმწიფო ალმები, ცენტრალური ტრიბუნის წინ აღმართულ გამარჯვების დიდი ორდენი; ეს გასაგებიც არის, სპარტაკიადა ხომ მიძღვნილია დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავისადმი.

17 საათია. ფანფარები გვაუწყებენ ხაზიმო ცერემონიალის დაწყებას.

სპარტაკიადის გახსნას ესწრებიან ვ. სირაძე, პ. ბილაშვილი, ო. ჩერქეზია, სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

შოედანზე გამოდიან სპარტაკიადის მონაწილე ველოსიპედისტები, ვეტერანი სპორტსმენები. მათ მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე შ. მახარაძე. ალმი აღმართეს გუნდების კაპიტენებმა, ჯერეს სსრ კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნები. უცნობი ჯარისკაცის ხაფლავიდან წამოღებული ცეცხლი ველოდრომზე ააგიზგიზა მსოფლიოს ექვსჩემპიონმა სპრინტერულ რბოლაში ო. ფხაკაძემ.

იწყება პროგრამით გათვალისწინებული სპარეზობა გიტში ადგილიდან 1 კილომეტრზე. 41 სპორტსმენი გამოვიდა სტარტზე. 41-ე იყო ორგზის მსოფლიოს და მეხუთე სპარტაკიადის ჩემპიონი ე. რაპი (რსფსრ). მან აჩვენა ყველაზე უკეთესი დრო — 1.07,27 და სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა. ვერცხლის მედალი მოიპოვა ა. იაბლუნოვსკიმ (მოლდავეთი), ბრინჯაოსი — კ. ზაცეპინმა (ყაზახეთი).

საქართველოს სპორტსმენთა 8 უძლიერესთა შორის არ მოხვდა.

ველომრბოლთა ტურნირი გრძელდება.

ვ. ვაბელია.

• • •

სურათზე: თბილისის ველოდრომი სპარტაკიადის გახსნის დღეს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ტურნირები, შეჯვრები

ტელეფონით გვაცნობებენ

ძალოსნობა

ვილნიუსი. 11 ივლისი. საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა ძალოსნობაში ბ. ბოდერაძემ გვაცნობა: მეორე ქვეკომბინაციაში ჩემ. ჩემპიონობა ერ. ბარკილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა (360 კილოგრამი), და ჩვენს გუნდს 24 ქულა შესძინა. აქ უძლიერესი იყო ბ. მარერნისი (ლიტვა, 370 კილოგრამი). მეორე კომბინაციაში ჩვენგან არავინ გამოდის. საქართველოს ძალოსნებმა ტურნირი 54 ქულით დაამთავრეს. პირველ ადგილზე წარმატება ხვდა ყაზახეთის წარმომადგენელს ვ. მაქეიკოვს. ორჭიდში მისი შედეგია 392,5 კილოგრამი. ყაზახეთის გუნდს დღეისათვის 104 ქულა ჰქონდა.

კლასიკური ჭიდაობა

ალმა-ათა. 11 ივლისი. საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა კლასიკურ ჭიდაობაში დ. დავითაიამ გვაცნობა: — ტურნირის პირველ დღეს წარმატებაც გვქონდა და წარუმატებლობაც. 48 კილოგრამამდე წონაში ჩვენმა მოჭიდაეთმ ჩიტაძემ ერთი შეხვედრა მოიგო ქულებით, მეორე — წააგო; 52 კგ. წონაში ბლაგიძემ დაამარცხა; ასევე წარუმატებლად გამოვიდა მაჭარაშვილი (57 კგ); მეგრელიშვილმა (62 კგ) ხძლია მსოფლიოს ჩემპიონს კაზაკოვს (უზბეკეთი), გოგანაძეს (68 კგ) ერთი შეხვედრა ჰქონდა და დამარცხდა; აფხაზავამ (74 კგ) გამარჯვება ჩაიწერა; წიკლაურმა (82 კგ) მოგებული ორთაბრძოლა უკანასკნელ 10 წამში წააგო. ბლიაძე (90 კგ) შეხვდა გოგლიჩიძეს (სომხეთი) და გამარჯვა. 100 კილოგრამამდე წონაში და 100 კილოგრამზე ზევით ჩვენი გუნდიდან წარმატება ხვდათ სალაძესა და მორჩილაძეს. პირველმა წმინდად გაიმარჯვა, მეორემ — ქულებით.

მოკლედ

გუშინ და დღეს

ფეხბურთი. გუშინდელი მატჩით მოსკოვის „ტორპედოსა“ და „ლოკომოტივს“ შორის, რომელიც ლუჟნიკის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა, დაიწყო „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო, მე-15 ტური.

გაიმარჯვეს ტორპედოელებმა ანგარიშით 2:0.

დღეს მოსკოვში, „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდისა და მოსკოვის „სპარტაკის“ ამხანაგური შეხვედრა.



სიბერის საიდუმლო

როგორ ვეძიოთ ხანგრძლივობა

ეპოპრაქტის დროიდან, ორი ათასი წლის განმავლობაში დაახლოებით 200 თეორია იყო წარმოდგენილი, რომლებიც განმარტავდა სიბერის მიზეზს. და მხოლოდ ახლა კაცობრიობამ ნამდვილად მოკიდა ხელი ამ ერთ-ერთი დიდი საიდუმლოს გახსნას. საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის კიევის გერონტოლოგიის ინსტიტუტში, სადაც 700 თანამშრომელი მუშაობს, დაიწყეს მუშაობა სიბერის წინააღმდეგ. სამი მსხვილი განყოფილება— ექსპერიმენტალური გერონტოლოგიის, კლინიკური გერონტოლოგიის, გეროგეტრიისა და გეროგიგიენის განყოფილებები აერთიანებენ 16 ლაბორატორიას და კლინიკურ დაწესებულებას. მეცნიერების მიერ მოცემულ რეკომენდაციებს უკვე ფართოდ იყენებენ სხვადასხვა ასაკის მილიონობით ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

სიბერე უფრო ადრე იწყება, ვიდრე ჩვენ ვფიქრობთ — სადღაც 30-35 წლის ასაკში. სწორედ აქედან იწყება „დაქვეითების განვითარება“, როგორც მეცნიერები ადამიანის ცხოვრების ამ ეტაპს უწოდებენ.

— თვითონ ეს ეტაპი საკმაოდ ინდივიდუალურია, — ამბობს ინსტიტუტის კლინიკური ფიზიოლოგიისა და ნერვული სისტემის პათოლოგიის განყოფილების გამგე პროფესორი ნიკიტა მანკოვსკი. — თვი განეკუთვნური პროგრამით მიმდინარეობს, ესე იგი თვითეულ ინდივიდუმს აქვს სიბერის თავისი განსაკუთრებული ტემპი და სიცოცხლის ხანგრძლივობა. როგორც ბიოლოგიურ სახეობას, ადამიანს გააჩნია სიცოცხლის მეცნიერულად დაკანონებული ასაკი — 100-120 წელიწადი. აქვე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ, სხვადასხვა მიზეზის გამო, ყოველთვის ვეკალდებიდა სიცოცხლის 30-40 წელი. მაგრამ ამჟამად უკვე შეგვიძლია ვიმოქმედოთ სიცოცხლის გახანგრძლივებაზე. ცხოველებზე ჩატარებული ექსპერიმენტების საშუალებით მოვახერხეთ მათი სიცოცხლე 30-35 პროცენტით გაგრძელებინა.

ინსტიტუტის ლაბორატორიებში ამუშავებენ ახალ ფარმაკოლოგიურ საშუალებებს. ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, რომლებიც ინსტიტუტის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს, გათვალისწინებულია ფიზიოლოგიური ზემოქმედებისათვის. ფარმაკოთერაპიის მთელი რიგი საშუალებები, — დეკამეკატი, პეროტონი, ამპვეიტი, ორკომინი, — არის კომბინირებული ვიტამინები, რომლებსაც, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით მოითხოვს სიბერეში გარდამავალი ორგანიზმი. გარდა ამისა, ამავე მიზანს ემსახურებიან მიკროელემენტანი და ამინმჟავიანი პრეპარატები. შემდეგ მოდის ახალი პრეპარატების გამოცდა და შესწავლა, რომელთაგან ზოგიერთი საიმედო შედეგებს იძლევა.

— ამჟამად გერონტოლოგიის უფრო მეტად დიფერენცირება ხდება, — მოგვითხრობს ინსტიტუტის დირექტორი, გერონტოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი აკადემიკოსი დიმიტრი თევდორეს-ძე ჩერბოტარევი. იგი სამი მთავარი მიმართულებით ვითარდება. სიბერის ბიოლოგია სწავლობს სიბერის პროცესს მოლიანობაში უჯრედიდან ადამიანის ორგანიზმამდე, გეროგატრია თვალყურს ადევნებს ხნიერი და მოხუცი ადამიანების სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობას და პროფილაქტიკის თავისებურებებს, და, ბოლოს სოციალური გერონტოლოგია განსაზღვრავს სიბერის საერთო კანონზომიერებებს, რომლებიც მთელი კაცობრიობისათვის არის დამახასიათებელი.

ინსტიტუტში დაგროვილმა ცოდნამ დოკუმენტური ფილმირება გაუკეთა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში სიცოცხლის სამუალო ხანგრძლივობის ზრდას, არამედ მოსახლეობის შესამჩნევ სიბერეს. თუ მეფის რუსეთში სიცოცხლის სამუალო ხანგრძლივობა ძლივს აღწევდა 35 წელს, ამჟამად ეს ციფრი 70-72 წელს აღწევს. 1970 წლის სრულიად საკავშირო აღწერამ გვიჩვენა, რომ ჩვენს ქვეყანაში თანდათან მატულობს დეკგრძელთა რიცხვი. მთელ რიგ რესპუბლიკებში, როგორიც არის საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი და სხვ., 80 წლამდე მიღწეული ადამიანები მოსახლეობის შესამჩნევ რიცხვს წარმადგენენ. ასეთი პროცესი, ალნიშნავს აკადემიკოსი დიმიტრი ჩერბოტარევი, ჩვენი დღეების დამახასიათებელი მოვლენაა. თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის განყოფილების მონაცემებით 2000 წლისათვის მსოფლიოს მოსახლეობა 80 პროცენტით გაიზრდება, მაშინ მოხუცთა რაოდენობა 100 პროცენტით მოიმატებს. ეუშველოთ ადამიანებს გადალახონ ეგრეთწოდებული „საპენსიო გაკოტრების“ პერიოდი, როცა ადამიანი განმარტოვებულად გრძნობს თავს, მოცილებულია თავის ყოველდღიურ საქმიანობას, როცა იგი მწვავედ განიცდის მარტობას, — ეს პრობლემები საბჭოთა გერონტოლოგიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

დაბერება ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესია, რომლის დროსაც, დეგრადაციასთან ერთად წარმოიშობა დამცავი მოვლენებიც. თურმე ჩვენი ტკივილათვის მსოფლიოს მოსახლეობა 60 პროცენტით გაიზრდება, მაშინ მოხუცთა რაოდენობა 100 პროცენტით მოიმატებს. ეუშველოთ ადამიანებს გადალახონ ეგრეთწოდებული „საპენსიო გაკოტრების“ პერიოდი, როცა ადამიანი განმარტოვებულად გრძნობს თავს, მოცილებულია თავის ყოველდღიურ საქმიანობას, როცა იგი მწვავედ განიცდის მარტობას, — ეს პრობლემები საბჭოთა გერონტოლოგიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

დაბერება ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესია, რომლის დროსაც, დეგრადაციასთან ერთად წარმოიშობა დამცავი მოვლენებიც. თურმე ჩვენ ვეძებთ ადამიანის ნორგანიზმამდე, გეროგატრია თვალყურს ადევნებს ხნიერი და მოხუცი ადამიანების სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობას და პროფილაქტიკის თავისებურებებს, და, ბოლოს სოციალური გერონტოლოგია განსაზღვრავს სიბერის საერთო კანონზომიერებებს, რომლებიც მთელი კაცობრიობისათვის არის დამახასიათებელი.

ინსტიტუტში დაგროვილმა ცოდნამ დოკუმენტური ფილმირება გაუკეთა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში სიცოცხლის სამუალო ხანგრძლივობის ზრდას, არამედ მოსახლეობის შესამჩნევ სიბერეს. თუ მეფის რუსეთში სიცოცხლის სამუალო ხანგრძლივობა ძლივს აღწევდა 35 წელს, ამჟამად ეს ციფრი 70-72 წელს აღწევს. 1970 წლის სრულიად საკავშირო აღწერამ გვიჩვენა, რომ ჩვენს ქვეყანაში თანდათან მატულობს დეკგრძელთა რიცხვი. მთელ რიგ რესპუბლიკებში, როგორიც არის საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი და სხვ., 80 წლამდე მიღწეული ადამიანები მოსახლეობის შესამჩნევ რიცხვს წარმადგენენ. ასეთი პროცესი, ალნიშნავს აკადემიკოსი დიმიტრი ჩერბოტარევი, ჩვენი დღეების დამახასიათებელი მოვლენაა. თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის განყოფილების მონაცემებით 2000 წლისათვის მსოფლიოს მოსახლეობა 80 პროცენტით გაიზრდება, მაშინ მოხუცთა რაოდენობა 100 პროცენტით მოიმატებს. ეუშველოთ ადამიანებს გადალახონ ეგრეთწოდებული „საპენსიო გაკოტრების“ პერიოდი, როცა ადამიანი განმარტოვებულად გრძნობს თავს, მოცილებულია თავის ყოველდღიურ საქმიანობას, როცა იგი მწვავედ განიცდის მარტობას, — ეს პრობლემები საბჭოთა გერონტოლოგიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

— ამჟამად გერონტოლოგიის უფრო მეტად დიფერენცირება ხდება, — მოგვითხრობს ინსტიტუტის დირექტორი, გერონტოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი აკადემიკოსი დიმიტრი თევდორეს-ძე ჩერბოტარევი. იგი სამი მთავარი მიმართულებით ვითარდება. სიბერის ბიოლოგია სწავლობს სიბერის პროცესს მოლიანობაში უჯრედიდან ადამიანის ორგანიზმამდე, გეროგატრია თვალყურს ადევნებს ხნიერი და მოხუცი ადამიანების სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობას და პროფილაქტიკის თავისებურებებს, და, ბოლოს სოციალური გერონტოლოგია განსაზღვრავს სიბერის საერთო კანონზომიერებებს, რომლებიც მთელი კაცობრიობისათვის არის დამახასიათებელი.

ინსტიტუტში დაგროვილმა ცოდნამ დოკუმენტური ფილმირება გაუკეთა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში სიცოცხლის სამუალო ხანგრძლივობის ზრდას, არამედ მოსახლეობის შესამჩნევ სიბერეს. თუ მეფის რუსეთში სიცოცხლის სამუალო ხანგრძლივობა ძლივს აღწევდა 35 წელს, ამჟამად ეს ციფრი 70-72 წელს აღწევს. 1970 წლის სრულიად საკავშირო აღწერამ გვიჩვენა, რომ ჩვენს ქვეყანაში თანდათან მატულობს დეკგრძელთა რიცხვი. მთელ რიგ რესპუბლიკებში, როგორიც არის საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი და სხვ., 80 წლამდე მიღწეული ადამიანები მოსახლეობის შესამჩნევ რიცხვს წარმადგენენ. ასეთი პროცესი, ალნიშნავს აკადემიკოსი დიმიტრი ჩერბოტარევი, ჩვენი დღეების დამახასიათებელი მოვლენაა. თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის განყოფილების მონაცემებით 2000 წლისათვის მსოფლიოს მოსახლეობა 80 პროცენტით გაიზრდება, მაშინ მოხუცთა რაოდენობა 100 პროცენტით მოიმატებს. ეუშველოთ ადამიანებს გადალახონ ეგრეთწოდებული „საპენსიო გაკოტრების“ პერიოდი, როცა ადამიანი განმარტოვებულად გრძნობს თავს, მოცილებულია თავის ყოველდღიურ საქმიანობას, როცა იგი მწვავედ განიცდის მარტობას, — ეს პრობლემები საბჭოთა გერონტოლოგიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

— ამჟამად გერონტოლოგიის უფრო მეტად დიფერენცირება ხდება, — მოგვითხრობს ინსტიტუტის დირექტორი, გერონტოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი აკადემიკოსი დიმიტრი თევდორეს-ძე ჩერბოტარევი. იგი სამი მთავარი მიმართულებით ვითარდება. სიბერის ბიოლოგია სწავლობს სიბერის პროცესს მოლიანობაში უჯრედიდან ადამიანის ორგანიზმამდე, გეროგატრია თვალყურს ადევნებს ხნიერი და მოხუცი ადამიანების სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობას და პროფილაქტიკის თავისებურებებს, და, ბოლოს სოციალური გერონტოლ